დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია"

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ზაირა ბერიძე
წევრი:
ავთანდილ გეგენავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **მახინჯაურის საზღვაო სკოლა**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შპს**

საიდენტიფიკაციო კოდი: 248417896

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 18 დეკემბრის №806372 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 15 იანვარს, შპს „მახინჯაურის საზღვაო სკოლაში“ (მისამართი: ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი №38) განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ – დამატების შესაბამისობის შემოწმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან.

ვიზიტის დაწყებამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა და შეიმუშავა დღის წესრიგი. დღის წესრიგის შესაბამისად, შედგა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ადამიანური რესურსის დოკუმენტაციის შემოწმება; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული მექანიზმების შესწავლა/განხილვა და ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან; სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლა/განხილვა და ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან; საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმება და გასაუბრება ბიბლიოთეკართან; პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით პარტნიორ ობიექტებთან ვიზიტი და გასაუბრება შესაბამის პირებთან.

ვიზიტის დასასრულს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტისას გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან გარემოში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

- ხარვეზი არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

- *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციებია არ გაცემულა*

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია;
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი N7, 19.09.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თამარ მეფის გამზირი N 38, ქ. ბათუმი, მახინჯაური, 6000, საქართველო
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	280 (კოოპერაციული)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	72
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	130
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ:** *შპს „მახინჯაურის საზღვაო სკოლაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება დადგენილი შიდა დოკუმენტაციისა და განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. პროგრამების შემუშავება ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებს და სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულებას“, რაც უზრუნველყოფს პროგრამების სტრუქტურულ თანხვედრას სასწავლო მიზნებთან, სწავლის შედეგებთან, მოდულურ აგებულებასთან და სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან. პროგრამების შერჩევისა და ინიცირების პროცესში სკოლა ითვალისწინებს საკუთარ მისიას და სტრატეგიულ ხედვას, შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებს, ეროვნულ და რეგიონულ პრიორიტეტებს, ასევე სკოლის ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს. პროგრამის ინიცირება შესაძლებელია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ, ხოლო გადაწყვეტილება ეფუძნება განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას, მათ შორის დასაქმების პერსპექტივებსა და გეოგრაფიული არეალის საჭიროებებს.*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ – განხორციელების მიზანშეწონილობა დასაბუთებულია კონცეპტუალური, რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი და ოპერაციული შეფასების საფუძველზე. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება როგორც პროგრამის შესაბამისობა სკოლის მისიასთანა და სტრატეგიულ გეგმებთან, ასევე პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისთვის საჭირო რესურსების არსებობა.

სკოლას განვითარებული აქვს პარტნიორული თანამშრომლობა შესაბამის დაწესებულებებთან, რაც ხელს უწყობს პროგრამის პრაქტიკულ ორიენტაციასა და კურსდამთავრებულთა დასაქმებას. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, პროგრამის კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია, მათ შორის უმეტესობა პროფესიით. სკოლა დამატებით სთავაზობს კურსდამთავრებულებს სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარდამჭერ სერვისს, მათ შორის სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მომზადებას, რაც ზრდის მათი პროფესიული რეალიზაციის შესაძლებლობას.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:** *საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, ხოლო იმ საშუალო პროფესიულ საგანმანატლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხური პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება. შესაბამისად პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.*

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ:** *პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულების“ შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია 22.08.2024 წელს. პროგრამის ფარგლებში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 280-ს, მათ შორის 60 სტუდენტი ინტეგრირებული პროგრამისთვის. დაწესებულება გეგმავს სტუდენტების მიღებას ორ ნაკადად: პირველ წელს – 30 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში და 110 პროფესიული სტუდენტი არაინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში. სასწავლო პროცესი პროგრამის ორივე ფორმატით განხორციელდება ორ ცვლაში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა შემდეგი ფაქტორები:*

ა) A, B და C ტიპის სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა – აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაწესებულებაში უზრუნველყოფილია A და B სასწავლო აუდიტორიები, თითოეულ ჯგუფში 30 პროფესიულ სტუდენტზე გათვლით;

ბ) სიმულაციური პრაქტიკული გარემო – დაწესებულებას გააჩნია პროგრამის შესაბამისი C ტიპის სასწავლო გარემო, რომლის გამოყენება პრაქტიკული გაკვეთილების პროცესში დაიგეგმება სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით;

გ) პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა – დაწესებულებას ჰყავს პარტნიორი ორგანიზაციები, რომელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულია ორ ცვლაში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა პრაქტიკის ობიექტებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დ) პროგრამის ხანგრძლივობა – გათვალისწინებულია სრული საგანმანათლებლო ციკლის ხანგრძლივობა;

ე) მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების პედაგოგების რაოდენობა – შეფასდა თეორიული და პრაქტიკული სწავლების უზრუნველმყოფი პერსონალის შესაბამისობა სტუდენტთა რაოდენობასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და არსებული რესურსების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია რეალისტურად და შეესაბამება პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისათვის აუცილებელ ადამიანურ, მატერიალურ და ორგანიზაციულ შესაძლებლობებს.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:** *ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, როგორც A და B სასწავლო სივრცეში ასევე C გარემოში. დარგის ექსპერტის მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო რესურსები, ასევე ექსპერტები გაეცნენ პარტნიორ პრაქტიკის ობიექტებს, სადაც პროფესიული სტუდენტები გაივლიან პრაქტიკულ სწავლებას და დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება, როგორც დაწესებულებაში, ასევე, პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე არსებული პროგრამის შესაბამისი რესურსით.*

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან, კერძოდ:** *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საგებანე განყოფილების ესპლუატაცია“ - ს არჩევითი მოდულები არ აქვს.*

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ:** *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - "საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია" დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 19 სექტემბრის N7 საოქმო გადაწყვეტილებით. სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია სკოლის დირექტორის 2025წლის 10 ივლისის N01-03/10 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული "პედაგოგიური საბჭოს დებულებით".*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ:** *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია" შემუშავებული ა(ა)იპ პროფესიული უნარების მიერ დამტკიცებული იმავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და არ არის შეცდომაში შემყვანი.*
8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:** *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მისანიჭებელი კვლიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლის მეთოდები და შეფასების მიმართულებები და შესაბამისად.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
2. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026 წლები;
3. სკოლის 2025 წლის სამოქმედო გეგმა;
4. სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N1. 22.08.2024) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება";
5. სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 19 სექტემბრის N7 საოქმო გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ;
6. სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია და მისი დანართები;
7. პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის ზღვრულ ოდენობის დასაბუთება;
8. ინფორმაცია სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
9. სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის №01-03/10 ბრძანებით დამტკიცებული "პედაგოგიური საბჭოს დებულება";
10. სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N1. 22.08.2024) დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11. პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის მუშაობის დოკუმენტები;

12. ვიზუალური დათვალიერება;

13. გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:** *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია" განხორციელება სკოლის მიერ დაგეგმილია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით, კოორპერაციული მიდგომით. აღნიშნული მოდელის ფარგლებში სწავლის შედეგების ნაწილი მიიღწევა სკოლის გაზაზე, ნაწილი კი, კერძოდ: <u>მოდული</u> "საზღვაო პრაქტიკა" — პარტნიორი ორგანიზაციის რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამის იმ მოდულების განსახორციელებლად, რომლებიც უნდა განხორციელდეს სასწავლო დაწესებულების გაზაზე, სკოლას დაწესებულების გაზაზე გააჩნია A/B და C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია პროგრამისთვის აუცილებელი მატერიალური და ტექნიკური რესურსებით. A და B სწავლების აუდიტორიები აღჭურვილია:*

- *30 სამუშაო ადგილს პროფესიული სტუდენტებისთვის (სკამები და მერხები);*
- *პედაგოგისთვის სამუშაო სივრცეს, კომპიუტერსა და პროექტორს;*
- *ასევე — პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესაბამის კომპიუტერები;*
- *C სასწავლო გარემოში უზრუნველყოფილია ჯგუფში დაგეგმილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად პროგრამისათვის საჭირო სიმულაციური აღჭურვილობა;*
- *ინტეგრირებული მოდულების ფარგლებშ, დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ინტეგრირებული მოდულების შესაბამისის C სასწავლო ლაბორატორიები.*

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა გათვლილია ჯგუფში 30 პროფესიულ სტუდენტზე, და ერთ მიღებაზე დაგეგმილია 30 ინტეგრირებული პროფესიული სტუდენტის და 110 არაინტეგრირებული პროფესიული სტუდენტის მიღება ორ ცვლაში, არსებული ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება მოთხოვნებს და შეფასებულია, როგორც საკმარისი და მიზანშეწონილი შესაბამისი სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ყავს პარტნიორი ორგანიზაციები, ვისთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. დოკუმენტით გაწერილია როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის შედეგები ასევე შესაბამისად საჭირო რესურსების გამოყენების შესაძლებლობა და ხელმისაწვდომობა სტუდენტებისათვის, ხელშეკრულებაში გაწერილია ინფორმაცია სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშრებით, თუ რამდენი სტუდენტის მიღებაა სწავლების მიზნით შესაძლებელი ორ ცვლაში.

აღნიშნული თანამშრომლობა უზრუნველყოფს პროგრამით/მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის მიღწევას და მათი მიღწევის პროცესში რეალური სამუშაო გარემოს აქტიურ ჩართულობას.

2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ:** *პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 36 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულების განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 13 (ცამეტი) პროფესიული მასწავლებელი., ხოლო 15 (თხუთმეტი) ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პედაგოგები.*

პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა, მათი შესაბამისობა პროფესიული სტუდენტების რაოდენობასთან და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და მათზე დაკისრებული ფუნქცია - მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას, რითაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა. მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის სასწავლო გეგმის მიხედვით კვირაში არ აღემატება 40 საათს. აქვე, აღსანიშნავია რომ სასწავლო საწარმოს სტატუსის ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციებს ყავთ შესაბამისის პირები შერჩეული, ვინც სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვას, შეფასებასა და სტუდენტების განვითარების პროცესებს უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე პროცესის დაგეგმვის დროიდან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია პროგრამის განხორციელებაში ჩართული კომპანიების ინსტრუქტორების შესახებ, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ მოდულების განხორციელებაში დარგის მასწავლებლებთან ერთად.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ:** *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული სკოლის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ვიზიტის ფარგლებში დეტალურად გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები. დადასტურდა,*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს შესაბამის განათლებასა და პრაქტიკულ გამოცდილებას. მასწავლებელთა უმრავლესობას გააჩნია სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია, რაც დადასტურებულია:

- *შესაბამისი პროფესიული ან აკადემიური კვალიფიკაციით;*
- *პროფესიულ და პედაგოგიურ სფეროში მრავალწლიანი გამოცდილებით;*
- *აგრეთვე გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.*

ეს გარემოებები უზრუნველყოფს, რომ პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება მოხდება მაღალი სტანდარტების შესაბამისად.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ:** *პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია ჰყავს დაწესებულების მიერ შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომელთაც აქვთ როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელები ახორციელებენ პროგრამის ზოგად კოორდინაციას, მათ შორის პროგრამის განმახორციელებელთა საქმიანობის ზედამხედველობა, კომპეტენციის ფარგლებში პროგრამის მდგრადობისთვის/განვითარებისთვის აუცილებელი მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის კონტროლის პროცესში მონაწილეობა; კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობა შესაბამისი დარგის ორგანიზაციებთან, დარგის სპეციალისტებთან, ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; ვიზიტის ფარგლებშ ექსპერტებს ქონდათ შესაძლებლობა პროგრამის ხელმძღვანელეთან გასაუბრების, რითაც დასტურდება მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა თუ განხორციელების პროცესში.*

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ:** *დაწესებულებაში ვიზიტისას შემოწმდა ბიბლიოთეკა და საგანამანათლებლო რესურსები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ყველა პროფესიული სტუდენტისათვის ელექტრონული სახით და/ან მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლაში დანერგილი პრაქტიკაა, რომ ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი ჩატვირთულია პროფესიული სტუდენტების კომპიუტერებში პროგრამისთვის გამოყოფილ სასწავლო აუდიტორიაში, რაც შემოწმდა და დასტურდება ექსპერტების მიერ.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა მიერ შერჩევით გადამოწმდა ლიტერატურა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება პროგრამისთვის საჭირო ლიტერატურას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ბიბლიოთეკის ფონდში აქვს დამატებით პროგრამის შესაბამისი ლიტერატურა, რომლის მოძიება და გამოცემა მოხდა დაწესებულებსი შიდა რესურსით და ხელმისაწვდომია როგორც სასწავლო რესურსი. ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. სკოლაში ინახება წიგნადი ფონდის აღრიცხვის საინვენტარო წიგნი, ხოლო, წიგნადი ფონდი დამუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესაბამისად.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ:** *სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N1. 22.08.2024) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულების“ 37-ე მუხლი განსაზღვრავს სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს, რის მიხედვითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სკოლის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სახის სერვისი. სკოლაში ჩარიცხული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებებია: სპეციალისტის მოწვევა; საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა; სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობა; სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერა; ადმინისტრაციული მხარდაჭერა; სხვა ღონისძიება, საჭიროების მიხედვით. სკოლის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს: საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას; საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს: ხელჯოხით უსაფრთხოდ გადაადგილების სწავლებას სპეციალისტის ჩართულობით; პერსონალის დახმარების უზრუნველყოფას. აღნიშნული მიზნებისათვის სკოლის დაცვის პერსონალსა და პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილი აქვთ აღნიშნული მოვალეობა და ვალდებულნი არიან განახორციელონ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა. აღნიშნული მიზნებისათვის, სკოლაში ხელმისაწვდომია ინდივიდუალური მეცადინეობების, პროფესიული განათლების*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელთა კონსულტაციისა და სასწავლო პროცესის თანამშრომელთა მხრიდან ინდივიდუალური მხარდაჭერის სერვისები; სკოლას შშმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია და მსგავსი გამოცდილებაც არ გააჩნია. სკოლის არ ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალიტი, თუმცა, რეგულაციით განსაზღვრულია, რომ შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში ჩართულობას.

აქვე აღსანიშნავია, რომ მეზღვაურის პროფესიაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლება დაუშვებელია, სწავლება შესაძლებელია, მხოლოდ სპეციალური სამედიცინო შემოწმებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის დადასტურების შემთხვევაში. (სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიკურობით და გათვალისწინებულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტებით (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978, Manila Amendments (Consolidated Text) Regulation I/9; section B-I/9; Table B-I/9-1; Table B-I/9-2; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 26 თებერვლის ბრძანება №01 „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ დამტკიცების შესახებ). წარმოდგენილი სწავლო პროცესის დებულებით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია” პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა №086 ან №100), რომელსაც დადგენილი წესით გასცემს შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge),

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ:** *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - უზრუნველყოფილია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის წარმოდგენილია განხორციელების მდგრადობა. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს, თუმცა შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით, მოდულების განფასება ჯერ არ განხორციელებულა, შესაბამისად სკოლა მოკლებულია შესაძლებლობას, ზუსტად განსაზღვროს პროგრამის ღირებულება. ამასთან, ვინაიდან სკოლა წლების განმავლობაში ახორციელებდა ანალოგიურ პროგრამას, აქვს საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტების შექმნისა და წარმოების*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*გამოცდილება. შესაბამისად, წინამდებარე თვითშეფასებით წარმოგენილია სკოლაში არსებული გამოცდილების მიხედვით შედგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი, რის მიხედვით, პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარი არის **15** პროფესიული სტუდენტი, ხოლო ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 30-ს.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის პედაგოგიური საბჭოს (ოქმი N7. 19.08.2025) გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია და მისი დანართები;
- ინფორმაცია სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული „კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გან- ხორციელებისთვის“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის ობიექტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება;
- პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის ზღვრულ ოდენობის დასაბუთება;
- ინფორმაცია სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- სკოლის ელექტრონულ კატალოგში ასახული ინფორმაცია სასწავლო რესურსების შესახებ, რომელიც განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე - Open Biblio;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N1. 22.08.2024) დამტკიცებული „საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N1. 22.08.2024) ბრძანებით დამტკიცებული **„**სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები**“;**
- ვიზუალური დათვალიერება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ., კერძოდ:** *სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N1. 22.08.2024) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულების" მე-6 და მე-9 მუხლი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას, ცვლილებების განხორციელებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომებს. დებულება აღწერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა,*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით სკოლა.

ა) შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემას;

ბ) ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარებს, კურსდამთავრებულთა სტატისტიკას, დამსაქმებელთა კითხვარებს, ინტერვიუს შედეგებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმებს და ა.შ.). აღნიშნული მექანიზმის ფარგლებში მოხდება სამომავლოდ ახალი პროგრამის შეფასება და განვითარება, სადაც დაინტეგრირდება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთაგან მიღებული უკუკავშირი.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ:** *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების და გაუქმების მეთოდოლოგიის თანახმად დაწესებულებას შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფს საჭიროების შესაბამის ცვლილებას საგანმანათლებლო პროგრამაში თუ მოდულში.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N1. 22.08.2024) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება";*
- *სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის გეგმა;*
- *სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების თაობაზე;*
- *გასაუბრება*

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, კერძოდ:** *სკოლის მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, რომელშიც მოდულების სწავლების თანმიმდევრობა ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის განსაზღვრული. სასწავლო კურსების დაგეგმვისას დაცულია მოდულებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის დასაშვები კვირეული დატვირთვა. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის განმარტებით, სასწავლო გეგმისა და საათების განაწილების შესაბამისად შემუშავდება გაკვეთილების განრიგი (ცხრილი), რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებულ და პროგნოზირებად მიმდინარეობას.*

ამავე დროს, განაცხადის პაკეტთან ერთად თავდაპირველად წარმოდგენილ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოვლინდა საჭიროება საათების განაწილების უფრო თვალსაჩინო წარმოდგენის კუთხით. კერძოდ, რეკომენდაცია გაიცა იმის თაობაზე, რომ სასწავლო გეგმაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მკაფიოდ გამოჩენილიყო საკონტაქტო საათების განაწილება კვირების მიხედვით, ხოლო დამოუკიდებელი სამუშაოს საათები ყოფილიყო ცალკე და გამიჯნულად წარმოდგენილი. რეკომენდაციის საფუძველი იყო ის გარემოება, რომ საათები თავდაპირველად ერთიანად იყო განაწილებული კვირის ჭრილში, საკონტაქტო და დამოუკიდებელი კომპონენტების გამიჯვნის გარეშე. აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების წარმომადგენლების მიერ მიღებულ იქნა. ადგილზე ვიზიტის დასრულებამდე სასწავლო გეგმა განახლდა ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი გახდა თითოეული მოდულის განხორციელების პერიოდში პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის მკაფიო და გამჭვირვალე წარმოდგენა.

განახლებული სასწავლო გეგმა სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვის ლოგიკურ, გამჭვირვალე და ეფექტიან ორგანიზებას.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კერძოდ: *სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულების 35-ე მუხლის არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული ისეთი გარემოებები, როგორიცაა სტატუსის მოპოვება/შეჩერება/აღდგენა, მობილობა, სწავლის შედეგების დადასტურების, განმეორებითი შეფასებისა და გასაჩივრების, ინდივუადუალური სასწავლო გეგმით სწავლის, ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები და სხვა. სკოლის ადმინისტრაცია იკვლევს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებს და რეაგირებს მათზე.*

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ: *იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით (განაცხადში დუალური არ აქვთ მითითებული, კოოპერაციულია და აქაც ეგ რომ ვახსენოთ მგონი სჯობს) ორ პარტნიორ კომპანიაზე დაფუძნებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ეფუძნება ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ სწავლების მეთოდებსა და შესაბამის დარგობრივ ტექნოლოგიებს. პროგრამას გააჩნია ადაპტირებული მოდულები, მათ შორის სწავლებისა და შეფასების კომპონენტში. ექსპერტების ვიზიტისას შემოწმდა A/B ტიპის სასწავლო და C სიმულაციური გარემოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა (სტუდენტებისთვის განკუთვნილი კომპიუტერები), ასევე მომზადებული იყო მეთოდოლოგიური და სადემონსტრაციო რესურსები. გარდა ამისა, პარტნიორი კომპანიები, რომელთა ბაზაზეც იგეგმება სწავლება, აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც დადასტურებულია დარგის ექსპერტის შეფასებით. შესაბამისად, ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ როგორც სკოლაში ისე პრაქტიკის ობიექტზე*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი შეესაბამება დარგში მიმდინარე ტექნოლოგიურ სტანდარტებს და მათი გამოყენება სრულად შესაძლებელია სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების ფარგლებში. ინტერვიუების დროს პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ დარგობრივ სიახლეებზე მოძიებაზე იყენებენ სხვადასხვა გზებს, რათა ეს ინფორმაცია ინტეგრირდეს სწავლების პროცესში.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კერძოდ: *სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულების" 36 მუხლი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, რომელიც მორგებულია სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. დადგენილებით მიხედვით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება შესაძლებელია დადგეს თუ: მობილობით გადმოსულ პირს დადასტურებული აქვს განსხვავებული სწავლის შედეგები, პირს შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პირი დაგვიანებით შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, განხორციელდა პროგრამის შეცვლა / გაუქმება და საჭირო პროფესიული სტუდენტებისთვის მიღებული განათლების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის. გაგრძელება შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე.*

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კოორპორაციული მიდგომით, რის ფარგლებში დაწესებულებას აქვს ხელშეკრულება გაფორმებული შესაბამის პარტნიორ ორგანიზაციებთან. ხელშეკრულება მოიცავს. ინფორმაციას როგორც პროგრამის ასევე უშუალოდ იმ მოდულის შესახებ რისი განხორციელებაც იგეგმება პრაქტიკის ობიექტზე, ასევე ინფორმაცია საჭირო რესურებისა თუ ჩართული პირის შესახებ და სტუდენტთა კვოტის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში გაწერილია ასევე ისეთი ინფორმაცია როგორიცაა სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვას, შეფასება სასწავლო გეგმის შესაბამისად და სხვა. ასაუბრებით დასტურდება რომ პრაქტიკის დაწებამდე არაუგვიანსე 3 თვისა სკოლა დაიწყებს სასწავლო პროცესის დაგეგმვას პრაქტიკის ობიექტზე უშუალო წარმომადგენლის ჩართულობით.

ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება შესაბამისობაშია სტანდართთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ: *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო პროცესში ითვალისწინებს როგორც პრაქტიკული სწავლების ლაბორატორიების, ისე პრაქტიკის ობიექტების გამოყენებას. აღნიშნული პროცესების უსაფრთხო განხორციელების უზრუნველსაყოფად დაწესებულების მიერ შემუშავებულია შესაბამისი უსაფრთხოების წესები, რომლებიც შეესაბამება დარგის მარეგულირებელ საერთაშორისო სტანდარტებს და ითვალისწინებს როგორც შიდა სასწავლო გარემოში, ისე გარე პრაქტიკის სივრცეებში უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვას.*

უსაფრთხოების წესები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილებში და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის როგორც ლაბორატორიებში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე. ამასთანავე, პრაქტიკული აქტივობების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები და პრაქტიკის ობიექტების შესაბამისი პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან პრაქტიკული საქმიანობის დაწყებამდე ჩაუტარონ სტუდენტებს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი და უზრუნველყონ უსაფრთხოების წესების დაცვა პროცესის მიმდინარეობისას.

აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების უსაფრთხო გარემოში სწავლებას და პრაქტიკული უნარების ფორმირებას როგორც სასწავლო დაწესებულებაში, ისე რეალურ სამუშაო გარემოში. ლაბორატორიებსა და პრაქტიკის ობიექტებზე უსაფრთხოების წესების არსებობა, მათი ხელმისაწვდომობა და ინსტრუქტაჟის სისტემური განხორციელება ადასტურებს, რომ პროგრამა უზრუნველყოფს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს და შეესაბამება შესაბამის ავტორიზაციის სტანდარტებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N1. 22.08.2024) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება“;
- „პროფესიული სტუდენტის სამახსოვრო“;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N1. 22.08.2024) დამტკიცებული “პედაგოგიური საბჭოს დებულება”
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ: სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N1. 22.08.2024) დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“. *სკოლაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესი იგეგმება სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, რისთვისაც სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ადგენს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესის მართვის განრიგს. განრიგში მოცემულია პროგრამის დასახელება, ჯგუფის №, მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი, მოდულის სწავლის პერიოდი განმსაზღვრელი შეფასების თარიღები, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების თარიღები, შეფასების ინსტრუმენტების რაოდენობა და სახე, ინსტრუმენტების წარმოდგენის თარიღი, ვალიდაციის თარიღი, ვალიდაციის ჯგუფი (გვარი, სახელი), განმეორებითი შეფასების თარიღი, აღნიშვნა განმეორებითი შეფასების ინსტრუმენტის ცვლილების შესახებ და სხვ.* ექსპერტების მიერ დასტურდება აღნიშნული მექანიზმების შესაბამისობა.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ: *სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N1. 22.08.2024) დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი“, რომელიც ადგენს მოთხოვნებს შეფასების სისტემის მიმართ და სამიზნე პროცესებს, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცედურას, შეფასების პროცესის ვერიფიკაციის მექანიზმებს, შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას, შეფასების სისტემის ვერიფიკაციისას გამოყენებული სამუშაო ფორმებს. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით. ვერიფიკაციისას გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმები. ვერიფიკაციის პროცესის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეტაპები განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ვერიფიკაციის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განისაზღვრება ვერიფიკაციის განხორციელების განრიგი, ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებაში მონაწილეობს ვერიფიკატორი განათლების და ვერიფიკატორი დარგის მიმართულებით. განსახორციელებელი სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსაზღვრავს ვერიფიკატორთა რაოდენობას. განათლების მიმართულებით ვერიფიკატორი არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ან სპეციალისტი; ვერიფიკატორი დარგის მიმართულებით არის პროფესიული განათლების მასწავლებელი ან/და იმ დარგის სპეციალისტი, რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტე-ბის/მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება. ვერიფიკატორის/ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობისას გამოირიცხება ინტერესთა კონფლიქტი. პროფესიული განათლების მასწავლებელი/დარგის სპეციალისტი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ან ვალიდაციის პროცესში, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცესში; საჭიროების შემთხვევაში სკოლის დირექტორი მიერ მოიწვევა შესაბამისი დარგის სპეციალისტი, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოთხოვნის საფუძველზე.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ: სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას: პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურების მუდმივმოქმედი კომისიის მიერ ფორმდება შესაბამისი ოქმითა და უწყისით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები სკოლაში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ გადაეცემა არქივს და ინახება მუდმივად.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ: *პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზს ახორციელებს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის დოკუმენტი წარედგინება სკოლის დირექტორს და განიხილება სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე; პროფესიულ*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის მიხედვით, იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები, რომელთა შესრულების პროცესს აკვირდება სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N1. 22.08.2024) დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი";*
- *შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის მტკიცებულებები;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გეგმა;*
- *სასწავლო პროცესის ადმინისტრირების განრიგი;*
- *სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N1. 22.08.2024) დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი";*
- *გასაუბრება*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

29.01.2026

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: